საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020166541723221

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7450 **28 / ოქტომბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჯოლას მიმდებარე ტერიტორიაზე 285312 ტონა თიხის (კერამიკული ნედლეული) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 52799 12.08.2021).

ლიცენზია გაიცემა 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 285312 ტონას, წელიწადში საშუალოდ 14265,6 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 14265,6 ტონაზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 450-510 მ. სიმაღლეზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჯოლას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

ობიექტი არ ხვდება დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე